პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 19 თებერვალი, 1944 წ. № 35 (6929). ფასი 20 კაპ.

ახალი წარმატებებისათვის სასკოლო მუშაობაში

საბჭოთა სკოლა ყოველთვის ზრდიდა და ზრდის სოციალისტური სამშობლოს პატრიოტებს, მცოდნე, დისციპლინირებულ, მოწინავე ახალგაზრდობას. მის წინაშე ყოველთვის იდგა მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის უაღრესად საპატიო, კეთილშობილური ამოცანა. სტალინური ზრუნველობით საბჭოთა სკოლამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

ახალი, სერიოზული ამოცანები დადგა საბჭოთა სკოლის, მისი მუშაკების წინაშე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ვითარებაში. ამ ამოცანებს იგი წარმატებით ასრულებს. საბჭოთა სკოლის პატრიოტიზმმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმ მრავალმხრივ საქმიანობასა და ინიციატივაში, რაც სამამულო ომის დღეებში გამოიჩინეს სკოლის მუშაკებმა და მოსწავლეებმა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო გასული წლის ზაფხულში ჩვენი რესპუბლიკის 120.000-ზე მეტი მოსწავლე და 8.000 მასწავლებელი ფრონტულად მუშაობდა სოფლად. მათ 8.000.000 შრომადღე გამომუშავეს. ამასთან, სამამულო ომის პირიმდგომ წითელ არმიას დიდძალი საჭუქრები გაუგზავნეს, რამდენიმე ათასი მანეთი შეიტანეს თავდაცვის ფონდში, რისთვისაც დიდი სტალინისაგან მადლობა მიიღეს. საბჭოთა სკოლა ეხმარება ფრონტელთა ოჯახებს, ფრონტელთა შვილებს, ფართოდ ნერგავს ფედიაკინელთა ძვირფას ინიციატივას.

ამჟამად საბჭოთა სკოლა ახალი აღმაღლობის დღეებს განიცდის. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის დადგენილებებმა სასკოლო ასაკის 7-დან 17 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლისა და 7 წლის ასაკის ბავშვთა სწავლაში სავალდებულო ჩაბმის შესახებ მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. დაინერგა, ინსტრუქცია, რომლითაც შემოღებულია მოზარდთა აღრიცხვის ახალი წესები. ამით ბოლო ეღება მოზარდთა აღრიცხვის ერთიანი და ყველასათვის სავალდებულო წესების უქონლობას. მთელ რიგ რაიონებში ფორმალურად და ზერელედ ეკიდებოდნენ მოზარდთა აღრიცხვის საქმეს. სუსტად მუშაობდნენ, მაგალითად, ბორჩალოს, ახალციხის, ადიგენის, გორის, ქარელის, კასპის, ბაშკიჩეთის, ყარაიის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები. სკოლებისათვის მიკრორაიონების ზუსტად დაწესება, აღრიცხვის ახალი წესები წარმოადგენენ ნაბიჯს წინ ამ საქმეში. ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაცია ახლა დავალებული აქვს ათხაზეთის და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, შრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და ამგვარად ყველა პირობანი შექმნილი სანიმუშოდ მოეწყოს ეს სახელმწიფოებრივი საქმე. ამ მხრივ გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქალაქად სახლთმმართველობებსა და სოფლად სასოფლო საბჭოებს.

მაგრამ ბავშვთა და მოზარდთა მარტოოდენ აღრიცხვა ან მათი სწავლებაში ჩაბმა როდი კმარა. ეს მუშაობის ერთი უბანია, უდავოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ ამავე დროს მთავარია სკოლაში ჩაბმულ ბავშვთა შენარჩუნება, მათი განთვისება აღმოფხვრა, მაღალხარისხოვანი სწავლების ორგანიზაცია. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიურ ზრუნვას საბჭოთა სკოლის მუშაკებმა სწავლების სამაგალითო ორგანიზაციით უნდა უპასუხონ.

დიდი **სტალინის** ზრუნველობით გარემოსილი საბჭოთა მოსწავლეების მოვალეობაა იყვნენ სანიმუშონი, დისციპლინირებულნი, ისწავლონ ფრიადზე. მათ საქმით უნდა შეასრულონ ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მითითება იმის შესახებ, რომ **„მოსწავლეთა მამაცობა და გმირობა — ფრიადზე სწავლაა“.** როცა მოსწავლე ფრიადზე სწავლობს, მას შეუძლია სთქვას, რომ იგი ამ მამაცობითა და გმირობით ისევე ასახელებს სამშობლოს, როგორც ფრონტზე გმირი მებრძოლი.

სკოლებში სოციალისტური შეჯიბრების აკრძალვა ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და დისციპლინის განმტკიცებას. ახლა მასწავლებლის მუშაობა აღარ შეფასდება მოსწავლეთა წარმატებულობის საშუალო პროცენტის მიხედვით, რაც არასწორი და მავნე პრაქტიკა იყო. მასწავლებელმა ზუსტად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მოსწავლის ცოდნა, ამასთან დაიხსომოს, რომ ამ საქმეში მას სრული, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება და გადაჭრით არის აღკვეთილი მასზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა.

ქალებისა და ვაჟების ცალცალკე სწავლება მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს წინ მთელი სასკოლო მუშაობის გაუმჯობესებაში, სწავლების ხარისხის ამაღლებასა და დისციპლინის განმტკიცებაში. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სკოლების დირექტორებმა და გამგეებმა, მასწავლებლებმა ზუსტად უნდა დაიცვან და შეასრულონ საქართველოს სსრ განსახკომის ბრძანება კინოსურათებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების წესის შესახებ. თითოეულმა მოსწავლემ კარგად უნდა შეისწავლოს და შეასრულოს „წესები მოსწავლისათვის“ და ამით გააამართლოს თავისი, როგორც სოციალისტური სამშობლოს ნორჩი პატრიოტის, მოვალეობა.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი **სტალინი** შობლიურ მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა სკოლისადმი. ამის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა ომიანობის ძნელ პირობებში მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ხელფასის გადიდება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ამ დიდ ზრუნვას საბჭოთა სკოლის მუშაკებმა და მოსწავლეებმა ახალი წარმატებებით უნდა უპასუხონ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გენერალ დუაიტ დ. ეიზენჰაუერის სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჯარების მართვის საქმეში და საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში ინგლის-ამერიკის შეიარაღებულ ძალთა სადესანტო და საბრძოლო ოპერაციების ფართო გეგმის გატარებაში მიღწეული ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნას **სუვოროვის I ხარისხის** ორდენით გენერალი **დუაიტ დ. ეიზენჰაუერი,** ყოფილი მთავარსარდალი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალებისა საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 18 თებერვალი.

წითელი არმიის ოფიცრებთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სხარლღლის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულ ყოფილ:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. **ლომაია** ვლადიმერ კოტინოს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
2. **რეჟია** აკაკი დავითის-ძე — საინტენდანტო სამსახურის კაპიტანი
3. **კირკიტაძე** ვარლამ ილიას-ძე—კაპიტანი
4. **ლომაძე** ვალერიან ვასილის-ძე — კაპიტანი
5. **ბუროვი** ალექსანდრე იაკობის-ძე — სერჟანტი
6. **კალმახელიძე** ლეკა ივანეს-ძე — უფროსი კაპიტანი.

მედლით „მამაცობისათვის“

1. **მაგნაძე** ვლადიმერ მარკოზის-ძე — ლეიტენანტი.

პოდპოლკოვნიკ აღხაზაშვილის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორ.).

ფრონტის სარდლობამ სამამულო ომის ხარისხის ორდენით დააჯილდოვა პოდპოლკოვნიკი აღხაზაშვილი. იგი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე აღხაზაშვილი მეთაურობს იმ ჯავშნიანი მატარებლის ჯგუფს, რომელმაც ამის წინათ გამოიჩინა თავი ნეველის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში. აღხაზაშვილმა გამოიჩინა სიმტკიცე, მამაცობა, უნარიანი მეთაურობა, რის შედეგად მტერს დიდი ზარალი მოუტანია ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ვ. ყარა-მურზა

ქ. მოსკოვის მრეწველობამ შეასრულა 1944 წლის იანვრის გეგმა

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გმირი წითელი არმიის წარმატებებით აღფრთოვანებულმა დედაქალაქის საწარმოთა მუშებმა, მუშა ქალებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა წარმატებით შეასრულეს 1944 წლის იანვრის სახელმწიფო გეგმა.

მ. მოსკოვის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულა.

სხვებზე წინ არიან ფერადი მეტალურგიის, ელექტრომრეწველობის, საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოები და სხვ. (საკვლევი).

თბილისი-ავიაქიმი ამზადებს რეზერვებს წითელი არმიისათვის

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა 1943 წელს საზოგადოების წევრთა სამხედრო სწავლების შედეგები.

თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო ქვედანაყოფებში მოწაფეთა რაოდენობა გადიდებულ იქნა ერთიორად 19 წელთან შედარებით. სნაიპერთა მომზადების გეგმა შესრულებულია 124 პროცენტით, ხელმეტყველიმფრენელი — 116 პროცენტით, ავტო-ტანკერეტა — 106 პროცენტით, ბალისტიკოსტა — 104 პროცენტით. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ მომზადებულმა მესანგრეებმა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში დიდი მუშაობა გაწიეს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ნაღმებისაგან გასაწმენდად.

1944 წელს თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა სამხედრო მოძზადება კიდევ უფრო ფართო ხასიათს იღებს. მნიშვნელოვნად მატულობს სამხედრო-საოსნო ფორმირებათა რაოდენობა, ფართოვდება იარაღის რემონტისა და სამხედრო-სასწავლო ხელსაწყოთა დამამზადებელ სახელოსნოთა ქსელი. (საკვლევი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 თებერვლის ოპერაციული ცნობა

18 თებერვლის განმავლობაში ქალაქ ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ნოვგოროდის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური შიმსკი.

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი სტარაია რუსა, აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები პარფეევა, ბოლშაია კოზანკა, ჩირიკოვა, პენა, ნაბატკინო, ოკეედოვო, ველიკოე სელო, ლოსიტინა, სოკოლოვო, ბაინოვა, სვიატოგორშა.

ზვენიგოროდოკის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა მთლიანად მოსპეს მოწინააღმდეგის ცალკეული დაჭაჭული ჯგუფები, რომლებიც გარშემორტყმულ გერმანელთა ჯარების ლიკვიდაციის შემდეგ იმალებოდნენ ხევებსა და ჭალაში **შანდეროვკის** სამხრეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

17 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 61 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ერთ რაიონში საბჭოთა ქვეგანაყოფნი, რომლებიც ჭაობებითა და ტყის გზებით მიიწევდნენ წინ, მოწინააღმდეგის ზურგში მოექცნენ და გადაუღობეს გერმანელთა გარნიზონი დიდ დასახლებულ პუნქტში. ჩვენმა მებრძოლებმა გაქალიტეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 11 ქვემეხი, სარმარი მასალების ერთი საწყობი და სამხედრო ქონების ორი საწყობი. ექვსმა ჩვენმა მებრძოლმა, უფროს სერჟანტ ორლოვის მეთაურობით, შეაჩერა მოწინააღმდეგის რაზმი, გზაზე რომ მიდიოდა. საბჭოთა მებრძოლნი გზის ორივე მხარეზე ჩასაფრდნენ, ახლო მანძილზე მოუშვეს გერმანელები, შემდეგ კი ავტომატების ცეცხლით მოაკლეს 26 ჰიტლერელი. ცოცხლად დარჩენილმა 30 გერმანელმა ჯარისკაცმა თავის მეთაურთან — ობერ-ლეიტენანტთან ერთად იარაღი დაყარა და ტყვედ დაგვნებდა.

* * *

ნოვგოროდის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური შიმსკი. შიმსკისათვის ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. გერმანელებს წაართვეთ საარტილერიო ბატარეები, მრავალი ტყვიამფრქვევი, პირადი იარაღი, აგრეთვე სამხედრო მასალების საწყობები.

* * *

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენი ჯარები საარტილერიო მომზადების შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული ზოლი ილ სამხრეთ-დასავლეთიდან შემოუარეს ქალაქ სტარაია რუსას. ამავე დროს ჩვენი დამკვრელი რაზმები ძმაფრი იერიშით შეიჭრნენ ქალაქში აღმოსავლეთიდან. გერმანელებს სტარაია რუსა სიმაგრედ ჰქონდათ გადაქცეული. მათ აგებული ჰქონდათ დიდძალი ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები და ძელმიწური საცეცხლე წერტილები, ნაღმიანი არეებითა და საინჟინრო ზღუდეებით ჰქონდათ დაცული ყველა მისადგომი. გაფორებული ბრძოლის შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი სტარაია რუსა. ჰიტლერელებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენმა მებრძოლებმა განავითარეს წარმატება და დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ხელთ ვიგდეთ დიდი საწყობები და სხვა დაცვა. წამოყენებულია ტყვეები.

* * *

ქალაქ ზვენიგოროდის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა მთლიანად მოსპეს მოწინააღმდეგის უკანასკნელი დაჭაჭული ჯგუფები, რომლებიც გარშემორტყმულ გერმანელთა ჯარების ლიკვიდაციის შემდეგ იმალებოდნენ. ჩვენი მებრძოლნი იჭერდნენ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც ცდილობდნენ თავი გადაერჩინათ ხევებში და ჭაობებში ჭალაში დასახლებულ პუნქტ შანდეროვკის სამხრეთით. ღამისა და დღის განმავლობაში საბჭოთა ქვეგანაყოფები ეწმენდნენ ჭალას და მის ზიდამოებს. უფროსებად გათიშილ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბევრი ჯგუფი წინააღმდეგობის გაუწევლად დაგვნებდა ტყვეებ. ჰიტლერელები, რომლებიც კი ცდილობდნენ გაქცევა ეშველნათ თავისათვის, მოსპობილი აროთ სწარმოებს ამ ტყის შეგროვება და აღრიცხვა, რაც ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ათი დივიზიისა და ერთი ბრიგადის ლიკვიდაციის შედეგად.

* * *

ყირიმის პარტიზანულმა რაზმებმა ინვარსა და თებერვალში მთელი რიგი დარტყმები ჰგემეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს. ამ ხნის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდებულ იქნა გერმანელთა 6 სამხედრო ეშელონი. პარტიზანებმა აჰყარეს ლიანდაგი რკინიგზის სამ სადგურში, ჯოსპეს 80 ავტომანქანა, აფეთქეს ორი საწყობი საწვავიანად და სამრეცი მასალების ერთი საწყობი. 7 თებერვალს გერმანელთა და რუმინელთა დიდძალ ძალებმა დაიწყეს შეტევა პარტიზანების წინააღმდეგ. ხუთი დღის ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა მოჰქანეს ჰიტლერელები, შემდეგ კი კონტრიერიშში მიიტანეს მათ წინააღმდეგ. მტერმა ამ ბრძოლებში 800-მდე კაცი დაჰკარგა და გაიქცა, ამასთან ბრძოლის ველზე დასტოვა დაჭრილი თავისი ჯარისკაცები და ოფიცრები.

* * *

ვიტებსკის რაიონში ტყვედ წამოყვანილ გერმანელთა 550-ე საჯარიმო ბატალიონის 2-ე ასეულის ჯარისკაცმა ულრიხ ბარტს განაცხადა: „მე გერმანიის არმიის ყოფილ კაპიტანი ვარ, ვმეთაურობდი მე-4 ავიასალ დივიზიის ასეულს. გასული წლის ოქტომბერში ოფიცერთა საღამოზე სიფრთხილე გამოვიჩინე და ვანაცხადე, რომ გერმანიის სამხედრო კრახი გარდუვალია. ამ სიტყვებისათვის სამხედრო-საველე სასამართლო 8 თვის პატიმრობა მომისაჯა და ოფიცსწოდებად ჩამომართვა. სასჯელს ვიხდიდი ქალაქ ბორისოვის სამხედრო სასამართლოში, სადაც შევხვდი გერმანელი ოფიცრების მნიშვნელოვან ჯგუფს. საპატიმროს კედლებში ჩემი 8 ზამლები იყვნენ ობერ-ლეიტენანტი ფონ-ლეიტენანტი კურტ ბაუერი, ობერ-ლეიტენანტი ... ... 1944 წლის იანვარ... ... ... 550-ე საჯარიმო ბატალიონში. სულიერად მე უკვე დიდი ხანია მოშორებული ვიყავი იმისათვის, რომ ტყვედ დავნებებულიყავი, ამიტომ ... ...

სსრ კავშირის 1-ღი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესია

ეროვნებათა საბჭოში

კამათი სსრ კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

დეკუზაჯ მ. ი. ჯაფის სიტყვა (საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა უმაღლესი საბჭოს სესიაზე სწარმოებს ისტორიულ დღეებში, როდესაც ჩვენი გმირი წითელი არმია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ძლევამოსილ შეტევას ეწევა, უსასტიკეს დამარცხებებს აგებს ჰიტლერელ დაპყრობლებს, თითოეული ახალი გამარჯვებით აახლოებს გერმანელ ფაშისტ ჩანდიტთაგან მთელი საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლების ჟამს.

წითელი არმიის წარმატებითი შეტევითი ოპერაციების შედეგად განთავისუფლებულია და სამშობლოს დაუბრუნდა უმნიშვნელოვანესი საარმოწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები. სტეხს რა მტრის გაფფორებულ წინააღმდეგობას, წითელი არმია განუხრელად მიიწევს წინ. ჩვენში მხურვალე სიხარულის გრძნობას იწვევს წითელი არმიის მიერ ლენინგრადთან მოპოვებული დიადი ისტორიული გამარჯვების ამბავი. ლენინის გმირი მამაცი ქალაქი მთლიანად განთავისუფლებულია ბლოკადისაგან და არტილერიის ბარბაროსული დაშენისაგან. ძირითადი მაგისტრალი, რომელიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს მოსკოვს ლენინგრადთან აკავშირებს,— ოქტომბრის რკინიგზა სავსებით განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან მთელ თავის მახვილზე. ...ურ...

წითელი არმიელი და ... 4 ოქტ...ებს გაზრდილი ბრიგადა შეჭრნეს. შრომის ხაყოფიერება ცალკეულ ბრიგადებში 10 პროცენტის ნაცვლად 10-20 პროცენტით გაზარდეს, 28 იანვრისათვის მოამზადეს 50 მუშა მესამე თანრიგზე, 5.000 კილოვატსაათის ნაცვლად დაზოგეს 5.600 კილოვატსაათი ელექტროენერგია, ...ლითონის

...დღემდე მართვის საპ... გასანაღდებლად.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. ალკ... თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. შენგელიამ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნა საქ. ალკ.ის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ამნაიშვილი.

ყაზბეგის რაიონმა საგზაო მშენებლობაში პირველი ადგილი დაიკავა

ყაზბეგი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ყაზბეგის რაიონის მშრომელები დღითი დღე აძლიერებენ მუშაობას ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის დასახმარებლად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. გასულ წელს ყაზბეგის რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებაში. წარმატებებია მიღწეული მეცხოველეობის აწყობა-განვითარების საქმეშიც. საგანგებო მეურნეობა. წითელი არმია, რომელიც საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას ეყრდნობა, შეუფერხებლად იღებს მძლავრ სამხედრო ტექნიკას, საომარ მასალას, საჭურველს.

ომმა ყველაზე უფრო ცხადად გვიჩვენა, თუ რა საგმირო საქმეების ჩადენის, რა თავდადებული შრომის უნარი შესწევთ ხალხებს, რომლებიც თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს იცავენ. სამამულო ომის დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხები, საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობით გამსჭვალულნი, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმნენ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავიანთი საყვარელი ბელადის—დიდი სტალინის გარშემო.

ქართველი ხალხი დიდი რუსი ხალხისა **და საბჭოთა** კავშირის სხვა მოძმე ხალხების მხარდაჭერით ომის პირველი დღეებიდანვე ეოსდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ქართველი ხალხის შვილები უშიშრად იბრძვიან სსრ კავშირის ხალხთა მოსისხლე მტერს—ჰიტლერელ დამპყრობლებს, იცავენ სოციალისტური სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ქართველმა ხალხმა თავისი წრიდან ბევრი სახელგანოქმული გმირი ვოგიცა. საკმარისია თქვას, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის გმირი რამდენიმე ათეული კაცი ითვლება. მთელი ჩვენი ქვეყნისათვის (ნობილია სახელები გმირების — გოგიჩაიშვილის, სორდიასი, ბერიასი, ციციშვილისა, ადამიანი და ქართველი ხალხის ვრაველი სხვა მამაცი შვილისა, რომლებმაც სახელი გაითქვეს მოსკოვთან, სტალინგრადთან, ორიოლთან, უკრაინაში. ბელორუსიაში, კავკასიის მთის ძირებში წარმოებულ ბრძოლებში. აღიზარდნენ და ... ძვირფასი საბრძოლო გამოცდილება დაიგროვეს სტალინური მზრუნველობით გარემოსილმა მეთაურთა კადრებმა — გენერლებმა, და ოფიცრებმა, რომლებიც უნარიანად ხელმძღვანელობენ საომარ მოქმედებას.

1942 წელში ჰიტლერელთა ურდოები კავკასიის მთის ძირებთან გამოიჭრნენ. მტერი ვარაუდობდა ხელში ჩაეგდო ბაკოს ნავთი, საქართველოს ქვანახშირი და მარგანეცი, საქართველოს სოფლის მეურნეობის უდიდესი სიმდიდრენი, ჰტერმა მიზნად დაისახა ამიერ-კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხების დამონება. ამიერ-კავკასიის ხალხებს ამ დღეებში უდიდესი საფრთხე დაემუქრა, მაგრამ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მოძმე ხალხები, რომელთა მთელი ისტორია თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული, აღსდგნენ, როგორც ერთი კაცი, და შეჰფიცეს ხალხთა ბელადს—ამხანაგ სტალინს, რომ ყველაფერს გაიკეთებდნენ მტრის გასანადგურებლად. ამ მრისხანე დღეებში ამხანაგ სტალინის დავალებით კავკასიაში ჩამოვიდა მისი ერთგული მოწაფე და უახლესი თანამებრძოლი ამხანაგი ბერია. რომელმაც გააერთიანა ამიერ-კავკასიის ხალხთა ძალები მტრისამთვის გასანადგურებელი წინააღმდეგობის გასაწევად. ამ. ბერიამ შეამჭიდროვა და დარაზმა ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარები და უდიდესი მუშაობა გასწია კავკასიის მთის ძირებში მტრის განადგურების სტალინური გეგმის შესასრულებლად. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ეხსომებათ კავკასიის მრისხანე მთები და ხეობები, ბერძმა მთაგანმა აქ ჰპოვა სიკვდილი, რომელიც მათ მთის თითოეულ ბილიკზე უდარაჯებდა. დიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი ამიერ-კავკასიის ხალხთა შვილები მიდიოდნენ ბრძოლაში, თავიანთი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის გარშემო შემჭიდროებულნი, და მისი დახმარებით მკერდით დაიცვეს თავიანთი ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მტერი შეჩერებულ, განადგურებულ და უკუგდებულ იქნა.

მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, საქართველოს სახალხო მეურნეობა ყოველ წელიწადს ასრულებს დაწესებულ გეგმებს, განუწყვეტლივ მზარდი რაოდენობით აძლევს ფრონტსა და ქვეყანას საშუალო სამეურეველს, სამრეწველო და სასურსათო სა-

...ალ...

...ალ...

...ალ...